ვიშეგრადის ჯგუფის გამოცდილების გაზიარება ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე

მაია ბენია
სტუ-ს დოქტორანტი

ევროკავშირში გაწევრიანებიდან იწყება თანამედროვე ევროპული ინტეგრაციის პოლიტიკის ახალი გამოწვევები, იგი შეიძლება სინონიმი იყოს თანამედროვე ევროპული და ეკონომიკური ისტორიისა. ევროპასთან ინტეგრაცია არ სრულდება ასოცირების შეთანხმებაზე ხელისმოწერითა და სამეზობლო პოლიტიკით და არც გაწევრიანებით. ინტეგრაცია არის პროცესი, რომელიც გრძელდება და საჭიროებს დინამიური კონკურენციული გარემოს ჩამოყალიბებას იმისათვის, რათა რალური პოზიტიური შედეგები მოიტანოს. ამ მხრივ აუცილებელია როგორც ახალი წევრების, ასევე ევროკავშირის ძველი ქვეყნების მზაობა მხარდაჭერისათვის.

ევროპის პოლიტიკაში 1989 წლის შემდეგ მომხდარმა ცვლილებებმა გახსნა სივრცე მომავალი ევროპისათვის. თანამშრომლობას საფუძვლები ჩაუყარა ცენტრალურ ევროპაში კომუნისტური რეჟიმების საწინააღმდეგო მოძრაობამ. ევროკავშირსა და ვიშეგრადის ქვეყნებს აქვთ რესურსების დიდი ოდენობა, რაც მათ შეუძლიათ ერთმანეტს შესთავაზონ – ადამიანური, ფინანსური, ცოდნაზე დაფუძნებული და ფიზიკური რესურსები. იგი სასარგებლო იქნება მონაწილე ქვეყნებისათვის და ამასთანავე მნიშვნელოვან მოდელს წარმოადგენს არამარტო დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებისათვის, არამედ სამხრეთ კავკასიისთვისაც.

ტერმინი - „ვიშეგრადის ჯგუფი" აღნიშნავს ცენტრალური ევროპის ოთხი ქვეყნის: ჩეხეთის, პოლონეთის, სლოვაკეთისა და უნგრეთის ალიანსს. ქვეყანათა თანამშრომლობის ამ ფორმის მიზანი რეგიონალური თანამშრომლობის გაღრმავება და ევროინტეგრაცის პროცესების გაძლიერებაა. სუბრეგიონულმა თანამშრომლობამ, რომელსაც საფუძველი 1991 წლის 15 თებერვალს უნგრეთის ქ. ვიშეგრადში, ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტის ვაცლავ ჰაველის ინიციატივით ჩაეყარა, ევროკავშირთან ინტეგრაციის წარმატებული მაგალითი შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ ვიშეგრადის ჯგუფს არ აქვს თავისი მუშაობის ისეთი ჩამოყალიბებული სტრუქტურა, როგორც ეს სხვა რეგიონალური თუ საერთაშორისო ორგანიზაციების შემთხვევაშია, და არ აქვს მუდმივი სამდივნო და არ ჰყავს თანამშრომლები, იგი ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან იქცა წარმატებული რეგიონალური თანამშრომლობის სიმბოლოდ. ვიშეგრადის ქვეყნების ჯგუფის თანამშრომლობის ეს ფორმა არ წარმოადგენს ევროკავშირის რეგიონალური გაერთიანების ალტერნატივას. იგი სწორედ ევროკავშირის მიერ არის მხრადაჭერილი, როგორც სუბრეგიონალური თანამშრომლობის ეფექტიანი სტრუქტურა. ვიშეგრადის ქვეყნების თანამშრომლობა ხელს უწყობს საერთო ფასეულობების გავრცელებას, რეგიონში უსაფრთხოების გაძლიერებას და ეკონომიკურ განვითარებას მრავალმხრივი თანამშრომლობის გზით.

ვიშეგრადის ქვეყნების მსგავსად, ევროინტეგრაციის პროცესები პრიორიტეტულია აღმოსავლეთ ევროპის მოსაზღვრე სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის. **სამხრეთ კავკასიის ქვეყნები ესწრაფვიან თავიანთი საზოგადოებების ეკონომიკური და სოციალური ტრანსფორმაციის წარმატებით დასრულებას, ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციასა და ამ გზით ევროკავშირის წევრობას.** როგორც ცნობილია, 2009 წლის 7 მაისს ევროკავშირმა აღმოსავლეთ ევროპის ექვს ქვეყანას (სომხეთი, საქართველო, აზერბაიჯანი, ბელორუსი, მოლდოვა, უკრაინა) თანამშრომლობის ახალი ფორმა - აღმოსავლეთის პარტნიორობა (Eastern Partnership) შესთავაზა. "აღმოსავლეთ პარტნიორობა" არის არა ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივის ალტერნატივა, არამედ ის ხელს უწყობს პარტნიორი ქვეყნების ევროკავშირში უფრო ღრმა ინტეგრაციას და მონაწილე ქვეყნებს სთავაზობს სოციალური და ეკონომიკური რეფორმების გატარებაში დახმარებას. **ვიშეგრადის ქვეყნების თანამშრომლობის გამოცდილება და ევროკავ-**

შირთან ინტეგრაციის ცალკეული ასპექტები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის მნიშვნელოვან და გასათვალისწინებელ მაგალითს წარმოადგენს.

ვიშეგრადის თანამშრომლობა ევროპის ერთერთი ყველაზე ეფექტური ქვერეგიონალური თანამშრომლობის სტრუქტურაა, რომელიც ჩამოყალიბდა 1989 წლის პოლიტიკური ცვლილებების შემდგომ. ამ კავშირის ჩამოყალიბების მიზეზი ნაწილობრივ გამომდინარეობს ცენტრალური ევროპის რეგიონის განხვავებულობისაგან დანარჩენ ევროპასთან შედარებით, რომელსაც საკუთარი იდენტობა და დინამიზმი აქვს, რასაც განსაკუთრებული ღირებულება შემოაქვს საერთაშორისო არენაზე. ინტერესის ძირითადი სფერო გახდა ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაცია. ევროპული ინტეგრაცია ორიენტირებული იყო ამ ქვეყნებზე, რომლებმაც გადაწყვიტეს დემოკრატიის ფორმირებისა და საბაზრო ეკონომიკის პროცესების დაწყება. გაფართოების მეხუთე ტალღა სიმბოლურად საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მალევე დაიწყო, როდესაც ევროკავშირმა განაცხადა, რომ ის მიიღებდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს თავის ოჯახში. **2004 წელს გაფართოების ძირითად მიზეზს წარმოადგენდა ევროპის აღმოსავლეთ ნაწილში კომუნისტური რეჟიმების დამხობის შემდეგ ევროპის გაერთიანების საოცნებო ამოცანა, რომელიც გააუქმებდა მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან არსებულ ევროპის აღმოსავლეთ-დასავლეთად დაყოფას.** გაფართოებების წინა ტალღებისაგან განსახვავებით, რომელიც დაყოფილი ევროპის კონტექსტში მიმდინარეობდა, 2004 წლის გაფართოების ტალღა პირველად შეეხო ევროპის ხელახალი გაერთიანების საკითხს. რეუნიფიკაცია მიზნად ისახავდა ევროპაში მცხოვრები ხალხებისათვის თავი მოეყარა კონსტიტუციურ ჩარჩოში, რომელიც მათ სტიმულს მისცემდა მშვიდობისა და სტაბილურობის გარემოში ერთობლივი მუშაობისათვის. გაფართოების მეხუთე ეტაპი ისტორიული და უპრეცედენტო იყო ევროკავშირის ისტორიაში, მან შექმნა შესაძლებლობები კონტინენტზე მშვიდობიანი ინტეგრაციის შემდგომი პროცესების მხარდაჭერისათვის. ასოცირების ხელშეკრულებები ვიშეგრადის ქვეყნებთან 1991 წელს გაფორმდა, და ასევე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 10 ქვეყანასთან. ევროპის ხელშეკრულებებმა შექმნა საფუძველი ევროკავშირისა და კანდიდატი ქვეყნებისათვის მოეხდინათ ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული დაახლოება. თანამშრომლობის სფერო მოიცავდა პოლიტიკურ თანამშრომლობას, ხელსაყრელ სავაჭრო ურთიერთობებს, ეკონომიკურ საქმიანობასა და კულტურულ თანამშრომლობას. ევროპის ხელშეკრულებები წარმოადგენდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ შანსს და ორმხრივად იქნა ხელმოწერილი, ეს ხელშეკრულებები თითოეული კანდიდატი ქვეყნის საჭიროებებზე იყო მორგებული, თუმცა, ამავდროულად მოიცავდა საერთო პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კომერციულ ამოცანებს და ქმნიდა რეფორმების განხორციელების ჩარჩოს. ევროპის ხელშეკრულებების ფარგლებში ხელმოწერილი სავაჭრო ხელშეკრულებებს უნდა ჩამოეყალიბებინათ თავისუფალი სავაჭრო ზონა ევროკავშირსა და თითოეულ სახელმწიფოს შორის. შესაბამისად, გაფართოებას უფრო ღია მსოფლიო ვაჭრობამდე მიყავს მონაწილე ქვეყნები

1993 კოპენჰაგენში ევროპის საბჭომ განსაზღვრა ეკონომიკური, პოლიტიკური და სამართლებრივი კრიტერიუმები აპლიკანტებისათვის. თითოეულმა წევრ სახელმწიფოს უნდა მოამზადებინა ევროკავშირის კანონმდებლობის განხორციელების სტრატეგია, რისთვისაც მათ მიეცათ ფინანსური დახმარება ევროკავშირის ფონდებიდან.

ვიშეგრადის ჯგუფის წევრმა ყველა კანდიდატმა ქვეყანამ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელად კომუნისტური სავაჭრო ბლოკის დაშლის შემდეგ. ზოგმა მიაღწია ეკონომიკური ზრდის მაღალ მაჩვენებელს, თუმცა კვლავ არსებობდა მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური რისკები. ჩეხეთის რესპუბლიკა, უნგრეთი და პოლონეთი წარმოადგენდნენ ფუნქციურ საბაზრო ეკონომიკებს. მათ სჭირდებოდათ უფრო მეტი პროგრესის მიღწევა და ფინანსური ბაზრები. სლოვაკეთი მიუახლოვდა კანონმდებლობისა და სისტემურ მახასიათებლებს, მაგრამ გადაჭარბებული სამთავრობო ჩარევები და ტრანსპარანტულობის ნაკლებობა ვერ ეთავსებოდა საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებას. მაკროეკონომიკური სტაბილურობა გაუარესდა. უნგრეთს, პოლონეთს და ჩეხეთის რეპუბლიკას უნდა გაეგრძელებინათ შესაძლებლობების გაძლიერება რათა გამკლავებოდნენ კონკურენციის წნეხს. ევროკომისიის რეკომენდაციების საფუძველზე 1997 წლის დეკემბრის ლუქსემბურგის სამიტზე დაიწყო გაფართოების პროცესი და ღია მოლაპარაკებები კანდიდატი ქვეყნების პირველ ჯგუფთან, ე.წ. "ლუქსემბურგის ქვეყნებთან": ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნებიდან მოლაპარაკებები დაიწყო ყველა ქვეყანასთან სლოვაკეთის გარდა. კომისიამ გამოყო 100 მილიონი ევროს ბიუჯეტი აღნიშნული პროცესისათვის. **1998-1999 წლებისათვის პროგრამები ფოკუსირებუ-**

ლი იყო ბულგარეთისათვის, ლატვიისათვის, ლიტვის, სლოვაკეთისა და რუმინეთისათვის ინვესტიციების მხარდაჭერაზე, ეკონომიკურ რესტრუქტურიზაციასა და კორუფციასთან ბრძოლაზე.

მოლაპარაკების ძირითადი პრინციპი იყო არ მომხდარიყო პერმანენტული გადახვევა ევროკავშირის წესებიდან, რაც დაშვებული იყო კანდიდატი ქვეყნებისათვის, ვინაიდან ისინი აწყდებოდნენ ტექნიკურ და პრაქტიკულ სირთულეებს გარდამავალ პერიოდში; გარდამავალი პერიოდი 6-დან 12 წლამდე გრძელდებოდა. ერთადერთი ქვეყანა, რომელიც არ იქნა ჩართული ე.წ. "ლუქსემბურგის ქვეყნებში" სლოვაკეთი გახლდათ. სლოვაკეთის მთავარი ამოცანა იყო შესულიყო ევროკავშირში ვიშეგრადის ჯგუფის პარტნიორებთან ერთად და ეს მრავალი მიზეზით იყო განპირობებული. პოლიტიკური ინტერესების გარდა, ეს ძირითადად გამომდინარეობდა სურვილით გამოყენებულიყო ჩეხეთისა და სლოვაკეთის საბაჟო კავშირის უპირატესობა მანამ, სანამ მოხდებოდა ევროკავშირის ჰარმონიზებულ რეჟიმში ინტეგრაცია სლოვაკეთ-შენგენის ზონის საზღვარზე მეზობელ ქვეყნებთან ერთად და გაძლიერებულიყო რეგიონებს შორის სასაზღვრო თანამშრომლობა. პოლიტიკური ცვლილებების შემდეგ საპარლამენტო არჩევნების გამო სლოვაკეთმა შეძლო შუალედური პერიოდის პოლიტიკური კრიტერიუმების დაკმაყოფილება. მოგვიანებით, 1999 წლის 12 დეკემბერს ჰელსინკში გამართულ ევროპის საბჭოს სამიტზე, წევრმა ქვეყნებმა გადაწყვიტეს დაეწყოთ მეორე ჯგუფის ქვეყნების გაწევრიანების პროცესი. ეს ქვეყნები იყვნენ – ბულგარეთი, ლატვია, ლიტვა, მალტა, რუმინეთი და სლოვაკეთი – ე.წ. "ჰელსინკის ქვეყნები". მოლაპარაკებები დაიწყო 2000 წ. 15 თებერვლიდან. გაწევრიანება (მოლაპარაკებები 12 კანდიდატი ქვეყნიდან 10-თან დასრულდა 2002 წელს კოპენჰაგენის 2002 წლის სამიტზე. თითქმის 10 წლის განმავლობაში დასრულდა ისტორიული ციკლი "კოპენჰაგენიდან კოპენჰაგენამდე", 1993 წლის შემდეგ, როდესაც 2002 წლის 13 დეკემბერს პირველად იქნა გაცხადებული გაწევრიანების კრიტერიუმები, კოპენჰაგენის ევროპის საბჭომ დაასრულა მოლაპარაკებები გაწევრიანების შესახებ 10 ქვეყანასთან). ვიშეგრადის ყველა ქვეყანა უნდა შესულიყო ევროკავშირში 2004 წელს (ჩეხეთის რესპუბლიკა, უნგრეთი, პოლონეთი და სლოვაკეთი) და კვიპროსი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, მალტა და სლოვენია.

ყველა კანდიდატ ქვეყანაში არსებობდა ერთი პრობლემა და ის განხორციელებული პროგრამების ხარისხს ეხებოდა. პროგრამების დაწყება გადაიდებოდა თუკი სამართლებრივი ჩარჩო, მათ შორის ევროკავშირის წესები საჯარო შესყიდვაზე, სახელმწიფო დახმარებასა და გარემოს დაცვაზე, არ იქნებოდა მოწესრიგებული. ჩეხეთის რესპუბლიკას, უნგრეთსა და პოლონეთს განსაკუთრებით ეხებოდათ ეს რისკი. იგივე ეხებოდა ფინანსური მენეჯმენტისა და კონტროლის გაუმჯობესებას. ჩეხეთის რესპუბლიკამ ძირითადად შეინარჩუნა მაკროეკონომიკური სტაბილურობა, თუმცა საჯარო ფინანსების მდგომარეობა გაუარესდა. ჩეხეთის რესპუბლიკა განაგრძობდა რეფორმის გზას, თუმცა ცალკეული შეფერხებებით. უნგრეთის საერთო მაკრო-ეკონომიკური წონასწორობა გაუარესდა, განსაკუთრებით მთლიანი შიდა პროდუქტის შემადგენლობის, საგადამხდელო ბალანსისა და გაცვლითი და საპროცენტო განაკვეთების სტაბილურობასთან მხრივ. 2002 წლის მნიშვნელოვანი საბიუჯეტო დეფიციტი აღმოფხვრილ იქნა 2003 წელს განხორციელებული ამბიციური ფისკალური პოლიტიკით, თუმცა, მონეტარული და გაცვლითი კურსის პოლიტიკა კიდევ უფრო მეტ დაძაბულობას მატებდა არსებული პოლიტიკის ინსტრუმენტების ნაკრებს. პოლონეთმა შეინარჩუნა სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო და თანდათანობით გაიუმჯობესა მდგომარეობა.

სლოვაკეთის მაკროეკონომიკური მაჩვენებელი საგრძნობლად გაუმჯობესდა, თუმცა, ზოგიერთი უთანასწორება მაინც მნიშვნელოვანი იყო. სლოვაკეთის პროგრესმა რეფორმის განხორციელების გზაზე, საჯარო საფინანსო სფეროშიც, ძლიერი სტიმული შეიძინა.

ვიშეგრადის ქვეყნები ევროკავშირში გაწევრიანდნენ 2004 წლის მაისში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 6 სხვა ქვეყანასთან ერთად (კვიპროსი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, მალტა, სლოვენია) – ეს იყო ყველაზე მაღალი რიცხვი, რომელიც შეუერთდა ევროკავშირს.

ევროკავშირის ინტეგრაცია 2004 წელს ორიენტირებული იყო ეკონომიკური და მონეტარული კავშირის დასრულებაზე – წინა გაფართოებებთან შედარებით, რომელიც ორიენტირებული იყო საბაჟო კავშირსა და საერთო ბაზრის ჩამოყალიბებაზე, ასე რომ, ინტეგრაცია უფრო მეტად მომთხოვნი გახდა.

ვიშეგრადის ქვეყნების ევროკავშირში გაწევრიანება დაძაბული და პერიპეტიებით აღსავსე გამოდგა. ვაჭრობა ამ ქვეყნებს შორის შემცირდა ეკონომიკური ურთიერთდახმარების კავშირის გაუქმების შემდეგ, თუმცა, ხელახლა იქნა ჩამოყალიბებული ცენტრალური ევროპის თავისუფალი სავაჭრო ზონის ფარგლებში. ევროკავშირში გაწევრიანებით, ევროკავშირის ღია ბაზარმა ამ ქვეყნებს უფრო მეტი შესაძლებლობები მისცა და

ვაჭრობა ევროკავშირის ქვეყნებთან 90-იან წლებთან შედარებით გასამმაგდა. ძირითადი და მნიშვნელოვანი გამოწვევა ამ ქვეყნებისათვის იყო ევროკავშირში მომზადებული გაწევრიანება, კონკურენტულუნარიანობის გაზრდა ევროკავშირში შესვლამდე, ამისათვის მათ უნდა გამოეყენებინათ ევროკავშირის დახმარებს ფონდი, რომელიც სოლიდარობის პრინციპზე იყო დაფუძნებული. ევროკავშირის ეს მთავარი პრინციპი მოიცავს ეკონომიკურად ძალზე განვითარებული ევროკავშირის წევრი ქვეყნების სოლიდარობას ნაკლებად განვითარებული წევრი სახელმწიფოების მიმართ. ამ პრინციპის გამო, **ევროკავშირის იმ ქვეყნების დახმარება, სადაც საშუალო მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე ევროკავშირის მაჩვენებლებზე დაბალი იყო და რომელსაც ვიშეგრადის ქვეყნებიც წარმოადგენდნენ.** მაგრამ, ამგვარი შესვლა უფრო ძვირადღირებულია და ევროკავშირისა და წევრი სახელმწიფოებისაგან მოითხოვს უფრო მეტ რესურსებსა და გარდაქმნის პერიოდს. "დიფერენციაციის პრინციპმა", რომელიც მიღებულ იქნა წევრი-ქვეყნების მიერ 1999 წელს ჰელსინკის სამიტზე, შესაძლებლობა მისცა თითოეულ კანდიდატ ქვეყანას ეწარმოებინათ მოლაპარაკებები მათ ტრანზიტულ პერიოდებზე. ევროკავშირის მიდგომა უნიფიცირებული იყო. ტრანზიტული პერიოდები ძირითადად სოფლის მეურნეობისა და ადამიანების თავისუფალი გადაადგილების სფეროებში იქნა შეთანხმებული. ტრანზიტული პერიოდები, ან შეზღუდვები ახალი წევრი სახელმწიფოებისათვის, მათ შორის ვიშეგრადის ჯგუფისათვის, ეხებოდა შრომის თავისუფალ მოძრაობას. შრომის ბაზრებთან დაკავშირებით, ე.წ. „2+3+2" მოწყობა იყო მთავარი მოთხოვნა ვროკავშირის 15 წევრისაგან. საერთო ტრანზიტული პერიოდი მაქსიმუმ შვიდი წლისათვის დაყოფილ იქნა ცალკეულ ფაზებთან ("2+3+2" ფორმულა). განსხვავებული პირობები გამოიყენება თითოეული ფაზისათვის, თავდაპირველ ორწლიან პერიოდში, სხვა წევრი სახელმწიფოების ეროვნული კანონი არეგულირებს ახალი წევრი სახელმწიფოებიდან მშრომელთა ხელმისაწვდომობას. პირველი ფაზის დასასრულს, კომისიამ უნდა წარმოადგინოს ანგარიში, რომელსაც საბჭო გამოიყენებს როგორც საფუძველს ტრანზიტული მოწყობის პირველი ფაზის ფუნქციონირების შემოწმებისათვის. - წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გაახანგძლივონ საკუთარი ეროვნული ღონისძიებები მეორე ფაზის პერიოდში კიდევ სამი წლით, რაც უნდა შეატყობინონ კომისიას პირველი ფაზის დასასრულს. შეზღუდვები წესით უნდა დასრულდეს მეორე ფაზაშივე, თუმცა წევრ სახელმწიფოს შეზღუდვები მესამე ბოლო ფაზის განმავლობაში კიდევ ორი წლით შეუძლია გააგრძელოს, ეს უნდა მოხდეს კომისიის ინფორმირების საფუძველზე შრომითი ბაზრის სერიოზული რყევების ან ასეთი მოსალოდნელობის პირობებში. საქართველომაც უნდა გამოიყენოს ეს გამოცდილება და ინდივიდუალობის პრინციპით უნდა გაიხანგრძლივოს გარედამავალი პერიოდები, რათა მცირე მეწარმეები არ დაიჩაგრონ და ჩაყენებული იქნან ჯანსაღი კონკურენციის პირობებში, შეძლონ ევროკავშირის სტანდარტებსი შესაბამისი პროდუქციის წარმოება ექსპორტზე გასავლელად.

ევროკავშირმა ფინანსური დახმარების გაწევა ვიშეგრადის ჯგუფისთვის გაწევრიანებამდე დაიწყო. 1999 წ. მარტში ბერლინში, ევროპის საბჭომ გამოყო 75მლრდ ევრო გაფართოების წინარე და გაფართოების პერიოდისათვის, რომელიც 2000 -2006 წწ ფინანსურ პერსპექტივებს მოიცავდა. გაწევრიანების წინარე სტრატეგიისათვის წელიწადში 3.72მლრდ ევრო გამოიყო, რომელიც კონკრეტული საბიუჯეტო კომპენსაციებისა და გარდამავალი პერიოდის სარგებლისათვის უნდა დამატებოდა. 2002 წ. კოპენჰაგენში ევროპის საბჭომ მიიღო 40.9 მლრდ ევროს დახმარების პორტფელი 10 კანდიდატი ქვეყნისათვის, რომელიც 2004-2006 წწ პერიოდს მოიცავდა. ხარჯების ვალდებულებები კანდიდატი ქვეყნების სასარგებლოდ შეადგენდა 37.5 მლრდ ევროს, **რომელიც პირველ რიგში, სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკისათვის (9.8 მლრდ ევრო) და შიდა პოლიტიკისათვის გამოიყო (4.2 მლრდ ევრო). ფინანსური გაფართოების პირდაპირი ხარჯი განსაზღვრული იყო ევროკავშირის შიგნით ბიუჯეტის ხარჯების ზედა ზღვრის ფარგლებში მთლიანი ეროვნული შემოსავლის 1.27%.**

2007წ. ევროკავშირის წევრებისაგან ტრანსფერი ევროკავშირის 28 ქვეყნის მთლიანი საერთო პროდუქციის 0.8 პროცენტი იყო, რომლის 20% ახალი წევრი ქვეყნებისათვის იქნა გამოყოფილი. 2007-2013წწ ფინანსური წლებისათვის წილი 35 %-მდე გაიზარდა, რაც ევროკავშირის 28 წევრი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქციის 7%შეადგენს. სტრუქტურული ფონდებიდან დახმარების ათვისების ყველაზე დიდი პროცენტი სლოვაკეთზე მოდიოდა (95%) შემდეგ უნგრეთსა და პოლონეთზე (94%) და ჩეხეთის რესპუბლიკაზე (91%) დახმარება ორიენტირებული იყო კონკურენტულუნარიანობისა და დაწევის პროცესის გაძლიერებისაკენ. ყველაზე მნიშვნელოვანი დახმარება მოდიოდა ინფრასტრუქტურის, გარემოს, სოფლის მეურნეობისა და დაახლოების პოლიტიკის სფეროში.

ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა კარგა ხანია აღიარეს თანამშრომლობის მნიშვნელობა საერთო მიზნების მისაღწევად, თუნდაც იმ სფეროებში, რომლებიც ტრადიციულად ეროვნული, რეგიონალური ან თავად ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებლობად მოიაზრება. ამგვარი თანამშრომლობის ერთ-ერთი მაგალითია **განათლების პოლიტიკა.** მაშინ როდესაც, განათლება განიხილება როგორც წევრი ქვეყნების ან რეგიონების ხელისუფლების საკითხად, ევროკავშირის ინსტიტუტებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს ამ სფეროში მომუშავე სამთავრობო ორგანიზაციების ერთად თავმოყრაში, რათა მათ ემუშავათ ერთობლივი მიზნების მისაღწევად, რასაც მთლიანობაში მთელი ევროპისათვის მოჰქონდა სარგებელი.

ვიშეგრადის ქვეყნებს შორის საშუალო მშპ-ს ზრდა ხუთი წლის განმავლობაში გაფართოების პროცესამდე ჰქონდა ჩეხეთის რესპუბლიკას. გაფართოების პროცესის შემდეგ სლოვაკეთმა შეცვალა ჩეხეთის რესპუბლიკა, როგორც ყველაზე მზარდმა ეკონომიკამ. ზრდის საშინაო მოთხოვნის წილი სლოვაკეთში 6%-ს აჭარბებდა. ამ მაჩვენებელს გაფართოების შემდგომ პერიოდში პოლონეთი მოსდევდა. სლოვაკეთის გარდა, გაფართოების შემდგომ პერიოდში მხოლოდ პოლონეთს ჰქონდა პოზიტიური ზრდის კონტრიბუცია წმინდა ექსპორტებისაგან. გაფართოების შემდეგ ამ ჯგუფს ჩეხეთის რესპუბლიკა და უნგრეთი დაემატა.

ევროკავშირის გაფართოება გლობალიზაციის განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს. გაფართოებამ თან მოიტანა სამართლებრივი სიცხადე და ინსტიტუციონალური სტაბილურობა და გააუქმა ევროკავშირის შიგნით არსებული სავაჭრო ბარიერები. შედეგად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციის დიდი ოდენობით შედინებამ, ძირითადად ევროკავშირის ძველი წევრი სახელმწიფოებისაგან, მნიშვნელოვნად გაზარდა ტექნოლოგიური კონტენტი და ახალი წევრი ქვეყნების ექსპორტის კალათის პროდუქციის ხარისხი. აღნიშნულმა შესაძლებლობა მისცა ახალ წევრ ქვეყნებს თითქმის გაეორმაგებინათ მათი გლობალური ექსპორტის ბაზრის წვლილი 1999 და 2007 წლებს შორის, მიუხედავად ერთი შეხედვით დიდი დანაკარგებისა ხარჯების კონკურენტუნარიანობასთან დაკავშირებით.

ევროკავშირის 2004 წელს გაფართოების შემთხვევაში, სავაჭრო ლიბერალიზაცია განხორციელდა ახალი წევრი ქვეყნების მიერ არა როგორც ცალკე აღებული პოლიტიკა, არამედ როგორც პაკეტის ნაწილი, მათ შორის მაკროეკონომიკური და ფისკალური პოლისებისა. ახალ წევრ სახელმწიფოებში ეკონომიკური ტრანსფორმაციის პოზიტიური ასპექტი შესაძლოა იყოს ფინანსური დაჩქარების პროგრამები, განსაკუთრებით, საშინაო ფინანსური სექტორის განვითარებისა და გლობალური ფინანსური ინტეგრაციისათვის ევროკავშირის-15-თან **შედარებით. ამის მიზეზი იყო დიდძალი უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემოდინება, რომელმაც გააძლიერა ეკონომიკური რესტრუქტურიზაცია, ზრდა და ეფექტური შიდა ფინანსური სექტორის გაფართოება, შესაფერისი მაკრო პოლიტიკა და სავაჭრო ღიაობა.** ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ინვესტორი ახალ წევრ სახელმწიფოებში იყო **გერმანია გერმანული უცხოური პირდაპირი ინვესტიციების 1/3 ახალ** წევრ ქვეყნებში ჩეხეთის რესპუბლიკაზე მოდიოდა, უნგრეთის წილი 29% იყო, პოლონეთის 24%, სლოვაკეთის 10%. დასაქმება თითოეულ ამ ქვეყანაში უხეშად რომ ვთქვათ, ინვესტიციების მოცულობის პროპორციულია. თუმცა, მაშინ როდესაც ინვესტიციები ჩეხეთის რესპუბლიკაში პოლონეთის მაჩვენებელზე ფინანსური თვალსაზრისით 1/3-ჯერ მაღალია, დასაქმების დონე ამ ორ ქვეყანაში თითქმის ერთნაირია, რაც მიუთითებს იმაზე, რომ **ინვესტიციები ჩეხეთის რესპუბლიკაში შედარებით კაპიტალინტენსიურია.** თუმცა, აღნიშნული შესაძლოა მხოლოდ ერთი ინვესტიციის შედეგი იყო (ფოლკსვაგენის მიერ შკოდის **შესყიდვა). დიდი ოდენობის კაპიტალის შემოდინებამ შეამცირა შიდა დანაზოგების ბარიერები კაპიტალის აკუმულირებაზე და შესაძლებელი გახადა, რომ ინვესტიციებმა მნიშვნელოვნად გაუსწრეს დანაზოგებს.** ახალი ქვეყნების ევროკავშირში ინტეგრაციის შედეგად, ევროკავშირი შესაძლოა განვიხილოთ როგორც მიმზიდველი ადგილი ინვესტირებისათვის და ამან შესაძლოა, წესების დაახლოება გამოიწვიოს მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ცენტრალური და აღმოსავლეთის ევროპის ქვეყნების წილი ავსტრიულ ექსპორტში გაიზარდა 1989 წელს 4.4%-დან 2004 წელს 18% მდე. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ბაზრების გახსნის შემდეგ, ავსტრიულმა ფირმებმა მოიპოვეს ძალიან ძლიერი პოზიცია პირდაპირი ინვესტიციების **სფეროში. 2004 წლისათვის, ავსტრიულმა საწარმოებმა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში 20 მილიარდ დოლარზე მეტი ინვესტიცირება მოახდინეს და არსებული საინვესტიციო კაპიტალის ბაზრის 9% წილი მოიპოვეს. ამან განაპირობა დაახლოებით 20 ათასი ავსტრიული ფილიალის და ერ-**

თობლივი საწარმოს ჩამოყალიბება.

გაწევრიანების გზაზე დამდგარი ქვეყნები მონაწილეობას მიიღებენ გაწევრიანების შემდგომ ეკონომიკურ და მონეტარულ კავშირში "გადახრის უფლებით", რაც ნიშნავს იმას, რომ მათ ჯერ არ დაუკმაყოფილებიათ კრიტერიუმები, რომლებიც ერთიანი ვალუტის შემოღებისათვის არის საჭირო. გაწევრიანებულმა ქვეყნებმა წარმოადგინეს სტრატეგიები, რომელთა მიზანი ევროზონის მიერთების ამოცანის მიღწევა იყო. ეს გეგმები იცვლება ერთი ქვეყნიდან მეორეში, ისინი ასახავენ თავდაპირველ ეკონომიკურ პირობებს და გაცვლითი კურსის რეჟიმებს. ევროკავშირის ხელშეკრულება არ ასახელებს გრაფიკს, მაგრამ მოითხოვს წევრი სახელმწიფოსაგან შეიმუშაოს საკუთარი სტრატეგია ევროს მიღება ახალი წევრი ქვეყნისათვის სავალდებულოა. ევროკავშირის ხელშეკრულებაში დეკლარირებულია რომ წევრი ქვეყნების პოლიტიკა უნდა იქნეს მიმართული ერთიანი ვალუტის შემოღებისაკენ, როდესაც წევრი სახელმწიფო შეასრულებს აუცილებელ პირობებს. ქვეყნებს არა აქვს შესაძლებლობა უარი თქვან ეკონომიკური და მონეტარული კავშირის მოთხოვნების განხორციელებაზე, როგორც ეს შეუძლიათ გააკეთონ დანიასა და გაერთიანებულ სამეფოს. ეს ორი ქვეყანა მოქმედებს 2 პროტოკოლის საფუძველზე, რომელიც ხელშეკრულებას თან ერთვის. ისინი თავად წყვეტენ აპირებენ თუ არა საკუთარი პოლიტიკის მონეტარული კავშირისაკენ წარმართვას, მიიღებენ თუ არა ევროს როდესაც ისინი შეასრულებენ პირობებს. ევროზონაში გაფართოების პროგრესთან დაკავშირებით, ახალ წევრ სახელმწიფოებს სხვადასხვა ამოსავალი წერტილები ჰქონდათ და სხვადასხვა სტრატეგიები მოარგეს საკუთარ შესაძლებლობესა და საჭიროებებს. არ არსებობს ერთიანი, ოპტიმალური გზა ევროსაკენ, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს და რეკომენდირებული იყოს ყველა ქვეყნისათვის ყველა დროში. ზოგიერთმა ქვეყანამ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა, რამაც მათ შესაძლებლობა მისცა შეერთებოდნენ ევროზონას, სხვებმა უფრო ნაკლებ პროგრესს მიაღწიეს და უკუსვლებიც ჰქონდათ. გაზომვადი რეზულტატების მიხედვით დაახლოების კრიტერიუმები უნგრეთის შემთხვევაში იყო ფასის სტაბილურობის კრიტერიუმი და ფისკალური პოლიტიკის გაჭიანურება. პოლონეთმა და ჩეხეთის რესპუბლიკამ ევროს მიღებისას უფრო მეტი სიფრთხილე გამოიჩინეს. პოლონეთმა მხოლოდ 2008 წელს გამოაცხადა ევროზონისათვის 2012 წელს შეერთების თარიღი და შეასრულა კიდეც ეს დათქმა. ჩეხეთის რესპუბლიკამ ეს უკანასკნელი 2009-2010 წლებისათვის გადაიტანა და ამის მიზეზი ფისკალური კონსოლიდაციის გაჭიანურება იყო. ვიშეგრადის ყველა ქვეყნისათვის ევროს შემოღება მაკროეკონომიკური თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. ვიშეგრადის ქვეყნებს შორის შიდა ვაჭრობის სფეროს არსებობის გამო, ევროს შემოღება შესაძლებელს გახდის სრულად იქნას მიღებული ერთიანი ბაზრის სარგებელი. თუმცა ჩეხეთი და უნგრეთი ეწინააღმდეგება ევროს შემოღებას და ინარჩუნებს ეროვნულ ვალუტას დღემდე. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ქვეყნები ევროზონის კრიზისის გათვალისწინებით იღებენ გადაწყვეტილებას.

ევროს მიღება გავლენას ახდენს ეკონომიკური მაჩვენებელზე მთელი რიგი მაკროეკონომიკური და მიკროეკონომიკური არხებით. ეს მოიცავს სტაბილურობაზე ორიენტირებული მაკროეკონომიკური ჩარჩოს მიღებას, ლიკვიდური ბაზრების ხელმისაწვდომობას, უფრო მეტ ვაჭრობასა და უცხოურ პირდაპირ ინვესტიციას, ტრანზაქციების დაბალ ხარჯებსა და გაზრდილ კონკურენციას. საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ევროს მიღება თავის თავში მოიცავს დიდ ეკონომიკურ ცვლილებებს, ერთიანი ვალუტის სფეროში წარმატებული მონაწილეობის მოთხოვნები მკაცრია. შესაბამისად ევროზონის წევრობაზე საჯარო დებატები უნდა ეყრდნობოდეს უფრო ფართო ასპექტებს და არა მხოლოდ ნომინალური დაახლოების სტატიკურ ხედვას.

ახალმა წევრმა ქვეყნებმა მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწიეს სტრუქტურული რეფორმების განხორციელებისთვალსაზრისით. გაწევრიანების პერიოდში მათ გარდაქმნეს საკუთარი ეკონომიკები ცენტრალური დაგეგმარების მოდელიდან ბაზარზე დაფუძნებულ მოდელზე. ეს გაფართოების პროცესის მთავარი პოზიტიური მახასიათებელია. ვიშეგრადის ქვეყნებს **შორის ყველაზე საუკეთესო ეკონომიკური ინდიკატორები ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან სლოვაკეთს აქვს.** უფრო მოკრძალებული გაუმჯობესება აქვს პოლონეთს და ჩეხეთის რესპუბლიკას. პოლონეთში განსაკუთრებით, პროგრესი საკმაოდ ნელა ჩანს თუ მხედველობაში მივიღებთ იმ დიდ ნაპრალს რომელიც არის პოლონეთის ეკონომიკურ მაჩვენებლებსა და ევროკავშირ 15-ის საშუალო მაჩვენებელს **შორის. უნგრეთს არანაირი გაუმჯობესება არ აქვს ევროკავშირ 15-ის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით და მისი დაახლოების პროცესი გაყინულია. ნაპრალი ევროკავშირ 15-სა და ახალ წევრებს შორის განსაკუთრებით იგრძნობა გლობალური ტექნოლოგიების ნაკლებობაში.**

რაც შეეხება შრომით ბაზრებს, რაც ჩვენი მოსახლეობისათვის დღესდღეობით ძალზე აქტუ-

ალურია, გაფართოების მეხუთე ტალღასთან დაკავშირებით პრობლემატურ საკითხს წარმოადგენდა შრომითი ბაზრების ეფექტი შრომითი ძალების თავისუფალი გადაადგილების გამო. შემოსავლის ძირითადი დიფერენციაცია, რომელიც გაფართოებამდე პერიოდში არსებობდა ეხებოდა იმ ფაქტს, რომ გაფართოებას მოყვებოდა მიგრაცია ვიშეგრადის ქვეყნებიდან, ასევე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან ევროკავშირ-15-ის ბაზრებზე, რაც უარყოფით გავლენას მოახდენდა ადგილობრივ მუშაკთა ხელფასებსა და დასაქმების პერსპექტივებზე. ამგვარი შიშის გამო ევროკავშირ-15-ის ქვეყნებმა დროებითი შეზღუდვები დააწესეს მათ შრომით ბაზრებზე ახალი წევრი ქვეყნებიდან მუშაკთა ნაკადის შემოდინებაზე. მხოლოდ სამმა ქვეყანამ, გაერთიანებულმა სამეფომ, ირლანდიამ და შვედეთმა სრულად გახსნეს საკუთარი შრომითი ბაზრები 2004 წლის მაისში. უმუშევრობის დონემ მკვეთრად დაიწია 2000 წლიდან 2007 წლებს შორის. 2007 წელს უმუშევრობის დონე დაეცა 7.6%-ით, რაც 2003წლის მაჩვენებელთან შედარებით 5%-ით ნაკლები იყო. შემცირება შეეხო ვიშეგრადის ყველა ქვეყანას, განსაკუთრებით პოლონეთს (სადაც შემცირება 10% იყო 9.7%-მდე), სლოვაკეთში (6% კლება 11.1%-მდე), ჩეხეთის რესპუბლიკაში (3.4 პროცენტიანი კლება 11.2 პროცენტამდე).

2003 წელს წევრს სახელმწიფოებს უფლება მიეცათ დროებით შეეზღუდათ თავიანთ სამუშაო ბაზრებზე მუშაკთა თავისუფალი გადაადგილება იმ წევრი ქვეყნებიდან, რომლებიც ევროკავშირს 2004 წელს შეუერთდნენ (გამონაკლისს წარმოადგენდნენ მალტა და კვიპროსი)". ევროკავშირის ძირითადი დანიშნულების ქვეყანა გაერთიანებული სამეფო გახდა, რომელმაც მიიღო ევროკავშირის შიგნით გადაადგულებულთა თითქმის 1/3, შემდეგ ადგილზეა ესპანეთი (18%) და ირლანდია (10%). პოლონელების თითქმის 60% გაერთიანებულ სამეფოს მიაშურა, მეორე ადგილზე ირლანდია (17%) და გერმანია (11%). სლოვაკი მუშაკების 55% გაერთიანებულ სამეფოს მიაშურა, 21% ჩეხეთის რესპუბლიკას და 11%-მა ირლანდიას. ჩეხეთის რესპუბლიკამ და უნგრეთმა უფრო დაბალი დონის შიდა მობილურობა გამოამჟღავნეს, რომელიც უფრო ნაკლებია ან ტოლია ევროკავშირ-15-ის წევრი სახელმწიფოების ანალოგიური მაჩვენებლისა. მიგრაციამ შედეგად მოიტანა შრომითი რესურსების ხელახალი გადანაწილება ქვეყნებს შორის 2004 წლის ევროკავშირის გაფართოების პროცესის შედეგად, რომელმაც უკვე მოიტანა მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებელი გაფართოებული ევროკავშირისათვის. 2004 წლის გაწევრიანების ქვეყნებისათვის დადგენილი გარდამავალი ინსტუმენტების შესაბამისად, შეზღუდვები 2009 წელს **მოიხსნა. მუშაკთა გადაადგილების თავისუფლება ევროკავშირის კანონმდებლობის მიხედვით ერთ-ერთი ძირითადი თავისუფლებაა.** ევროპის მრავალი მოქალაქისათვის, განსაკუთრებით ახალ წევრ ქვეყნებში, გადაადგილების და მუშაობის თავისუფლება სხვა ევროპულ ქვეყანაში იქცა მძლავრ და პოზიტიურ სიმბოლოდ იმისა, თუ რას შეიძლება ნიშნავდეს ევროპა ინდივიდისათვის. ამ თვალსაზრისით საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია დადგენილი რეგულაციების შესრულება, რათა დავაჩქაროთ უვიზო მისმოსვლის რეჟიმის ამოქმედება.

დასასრულს, შეიძლება ითქვას, რომ ახალ წევრ ქვეყნებში ინტეგრაციის პროცესის ძირითად უპირატესობას **ვაჭრობის ღიაობა, უცხოური პირდაპირი ინვესტიციები** და ძლიერი დემოკრატიის მშენებლობისათვის აუცილებელი ინსტიტუციონალური ჩარჩოს გაუმჯობესება წარმოადგენს. ყოველივე ამან შედეგად მოიტანა პროდუქტიულობის ზრდის დაჩქარება, რომელიც წარმოადგენს საფუძველს ცხოვრების დონის საგრძნობი გაზრდისათვის.

ინტეგრაციამ მთლიანობაში გააძლიერა ევროკავშირის ეკონომიკა და შესაძლობა მისცა ევროკავშირს მიეღო გლობალიზაციის სარგებელი. დღეისათვის, ევროკავშირს, 28 წევრი ქვეყნის მეშვეობით უფრო მეტად შეუძლია გაუმკლავდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა მსოფლიოში კლიმატის შეცვლა ან მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და ვიშეგრადის ქვეყნებს შეუძლიათ იყვნენ ამ გავლენიანი თანამეგობრობის ნაწილი მსოფლიო დონეზე, ევროკავშირის მეშვეობით მათ შეუძლიათ საკუთარი ინტერესების გაძლიერება. ვიშეგრადის ქვეყნის მოქალაქეები ისეთივე ევროპელები არიან. იმისათვის, რათა მოხდეს მათი საერთო ევროპული იდენტობის გამოყენება, აუცილებელია მათი ჩართულობა დანარჩენ ევროპაში.

ევროკავშირი მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია საქართველოსთვისაც (დაახლოებით 400 მილიონი აშშ დოლარის ექსპორტი და 2 მილიარდი აშშ დოლარის იმპორტი). კრიზისის გაღრმავებისა და რეცესიის შემთხვევაში ეს უარყოფითად აისახება ვაჭრობაზე. თუ ევროპელი მომხმარებლების მსყიდველუნარიანობა დაიკლებს, შედეგად, შეიძლება ქართული პროდუქციის ექსპორტიორები დაზარალდნენ. აგრეთვე მნიშვნელოვანია ევროზონის კრიზისის გავლენა საქართველოში შემოდინებულ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ოდენობაზე. საქართველოში შემოსული კაპიტალი წარმოადგენს ეკონომიკის ზრდისა და დასაქმების მნიშვნელოვან წინაპირობას. ევროპაში რეცესიის დაწყებ-

ის შემთხვევაში, მოსალოდნელია, რომ კერძო კაპიტალმა დაიწყოს უფრო სტაბილური და უსაფრთხო საინვესტიციო გარემოს ძიება. ამ მხრივ ძალზედ მნიშვნელოვანია მაკროეკონომიკური სტაბილურობა, რომელსაც საქართველომ ბოლო წლებში მიაღწია – ისევე როგორც ლიბერალური ეკონომიკური გარემო, დაგეგმილი საგადასახადო განაკვეთების შემცირება და საკრედიტო რეიტინგებში პოზიციების გაუმჯობესება. ყოველივე ამან, შეიძლება, პოზიტიური როლი ითამაშოს და ეკონომიკური რეცესიის პირობებში, ხელი შეუწყოს საქართველოში თავისუფალი კაპიტალის შემოდინებას.

ევროზონის კრიზისით აიხსნება ასევე დსთ-სა და შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის (BSEC) ქვეყნებში ექსპორტის ზრდის აღმავალი ტემპის შენელება 2009 წლის შემდეგ. საბანკო დაფინანსება ევროზონაში 2012 წლის პირველ კვარტალში შეწყდა, რამაც რიგ განვითარებულ ქვეყნებში დაკრედიტების პირობების გაუარესება გამოიწვია. ამან, თავის მხრივ, იმოქმედა კაპიტალის ნაკადების შედინებაზე გარდამავალი და განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებში, მათ შორის დსთ-ისა და BSEC-ის ქვეყნებში, რამაც შედეგად ბევრი გარდამავალი ბაზრის ვალუტის მნიშვნელოვანი გაუფასურება მოიტანა. მიუხედავად იმისა, რომ ბრაზილიაში, რუსეთში, ინდოეთსა და ჩინეთში ექსპორტის წილის ზრდამ ევროკავშირში ექსპორტის მნიშვნელობა შეამცირა, ევროკავშირი მაინც ერთ-ერთ უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორად რჩება დაბალი, საშუალოზე დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებისათვის.

ის, რომ ევროზონის კრიზისმა საქართველოს ეკონომიკა უფრო ძლიერად არ დააზარალა იმაზე მეტყველებს, რომ ქვეყნის ექსპორტის უდიდესი წილი რამდენიმე რეგიონულ ქვეყანაზე მოდის და ვაჭრობა ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან წყაროს არ წარმოადგენს. თუმცა, კავკასიის და მიმდებარე რეგიონის ეკონომიკური კრიზისის წინაშე საქართველო ძალიან დაუცველი იქნება. თუ, მაგალითად, არსებული სავაჭრო ურთიერთობების შედეგად ევროზონის კრიზისი თურქეთზე უარყოფითად იმოქმედებს, ამან შეიძლება სერიოზული დარტყმა მიაყენოს საქართველოს მიმდინარე ანგარიშის და ზოგადად, ეკონომიკის ზრდას.

თუმცა ეს ფაქტიც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ახალი პროდუქციისა და ახალი ბაზრების მოძიების გარეშე, საქართველოს საექსპორტო პოტენციალის პერსპექტივაზე რთულია. ამიტომ მთავრობის მთავარი ძალლისხმევა არა ერთ რომელიმე ბაზარზე და ერთ რომელიმე პროდუქციაზე მიბმისკენ, არამედ მათი მაქსიმალური დივერსიფიკაციისკენ უნდა იყოს მიმართული., აუცილებელია სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკისა და გაუმჯობესების სტრატეგიის შესწავლა საქართველოს კონტექსტში, რათა მათი გამოყენება საქართველოს ექსპორტის გაზრდისთვის მოხდეს.

ახალ წევრ ქვეყნებს შეეძლოთ გამოეყენებინათ ევროკავშირის ფინანსური დახმარება როგორც ევროკავშირის წევრობამდე, ასევე ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ და მიეღოთ სარგებელი ევროკავშირის სოლიდარობის პრინციპებზე დაყდნობით, რომელსაც შედეგად ევროკავშირის ფონდების ტრანსფერი მოჰქონდა. ევროკავშირში სრული გაწევრიანება მოითხოვს ახალი წევრი სახელმწიფოებისაგან მონეტარულ კავშირში გაწევრიანებასაც. ეს მოვალეობა სლოვაკეთმა შეასრულა და ვიშეგრადის სხვა ქვეყნები ცდილობენ მიაღწიონ ნომინალურ დაახლოებას და საკუთარი პოზიტიური ეკონომიკური შედეგების გაძლიერებას.

ამ ფონზე 2014 წლის 27 ივნისს დაგეგმილი „ასოცირების შეთანხმების" ხელმოწერა საქართველოს ახალ პერსპექტივებს უხსნის. განხორციელებული რეფორმები სრულად შეესაბამება საქართველოს, როგორც ევროკავშირის ასოცირებული პარტნიორის, სტატუსს: საქართველოს არ მოეთხოვება ევროკავშირის სრული კანონმდებლობის მიღება. საქართველომ კანონთა მხოლოდ ის ნაწილი უნდა მიიღოს, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის განვითარებას უახლოეს წლებში. რეფორმები ეფუძნება იმ საერთაშორისო სტანდარტებს, რომელიც საქართველომ უკვე აღიარა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში (მაგ. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია) გაწევრიანებით თუ შესაბამის საერთაშორისო კონვენციის ხელის მოწერით. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცეში ინტეგრაცია მიზნად ისახავს ამ მიღწევებზე დაყრდნობით, სიღრმისეულად შეუწყოს ხელი განვითარებას, მაგალითად, წარმოებისა და ექსპორტის მოცულობის ზრდის მეშვეობით. როგორც აღვნიშნეთ, 2011-2013 წლებში საქართველომ უკვე ისარგებლა ევროკავშირის 180 მილიონი ევროს ოდენობის დახმარებით, რომელიც შესაბამისი რეფორმების განხორციელების ხელშეწყობას მოხმარდა. 2013-2017 წლებში კვლავ დაგეგმილია დახმარების გამოყოფა ამ რეფორმების ხელშესაწყობად. სხვა დონორებმაც დაიწყეს ამ პროცესისთვის დახმარების გამოყოფა (მაგ. ევროპის საინვესტიციო ბანკი, მსოფლიო ბანკი).

გამოყენებული წყაროები:

Bellamy, R., Warleigh, A. (eds.). (2001). Citizenship and Governance in the European Union. London: Continuum.

Delanty, G. Rumford, Ch. (2005). Rethinking Europe. Social theory and the implications of Europeanization. London and New York: Routledge.

Tomas Kavaliauskas Transformations in Central Europe between 1989 and 2012: Geopolitical, Cultural, and Socioeconomic Shifts, 2012

Peter Bielik et al. Economics, Social Policy and Citizenship in the Europan Union. Nitra 2010, Slovak University of Agriculture

European Commission. Compoiste papers. 1997. Reports on Progress towards accession by each of the candidate countries. Avaliable at:

http://ec.europa.eu/enlargment/archives/pdf/key_documents/1998/composite_en.pdf

http://www.ata-sac.org/index.php?cmd

http://visegradinsight.eu/

Peter Bielik et al. Economics, Social Policy and Citizenship in the Europan Union. Nitra 2010, Slovak University of Agriculture

http://assembly.coe.int/Main.asp?link=/AboutUs/zurich_e.htm

http://europa.eu/about-eu/basic-information/symbols/europe-day/schuman-declaration/index_en.htm

http://europa.eu/legislation_summaries/institutional_affairs/treaties/treaties_ecsc_en.htm

http://europa.eu/about-eu/basic-information/decision-making/treaties/index_en.htm

SHARING OF EXPERIENCE OF VISEGRAD'S GROUP ON THE ROAD TO THE EUROPEAN UNION

MAIA BENIA

PhD student of GTU

The Visegrad Group (also known as the “Visegrad Four” or simply “V4”) reflects the efforts of the countries of the Central European region to work together in a number of fields of common interest within the all-European integration. The Czech Republic, Hungary, Poland and Slovakia have always been part of a single civilization sharing cultural and intellectual values and common roots in diverse religious traditions, which they wish to preserve and further strengthen.

The V4 was not created as an alternative to the all-European integration efforts, nor does it try to compete with the existing functional Central European structures. Its activities are in no way aimed at isolation or the weakening of ties with the other countries. On the contrary the Group aims at encouraging optimum cooperation with all countries, in particular its neighbours, its ultimate interest being the democratic development in all parts of Europe.

The Visegrad Group wishes to contribute towards building the European security architecture based on effective, functionally complementary and mutually reinforcing cooperation and coordination within existing European and transatlantic institutions.

In order to preserve and promote cultural cohesion, cooperation within the Visegrad Group will enhance the imparting of values in the field of culture, education, science and exchange of information.

All the activities of the Visegrad Group are aimed at strengthening stability in the Central European region. The participating countries perceive their cooperation as a challenge and its success as the best proof of their ability to integrate also into such structures, such as the European Union.

Changes occurred in European politics since 1989 provide ample opportunities for the future of Europe. This collaboration was resulted from movements opposing communist regime in Central Europe. Countries of the EU and the Visegrad group can offer each other huge resources that they possess, such as human, financial, intellectual and physical resources. They can be significant for the member countries and can serve as an important model not only for Western Balkans but the South Caucasus countries too.